პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 258 (5548)

28 დეკემბერი, კვირა. 1975 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენი კონკურსი „ინსბრუკი — XII ოლიმპიადა"

1976 წელი ოლიმპიადების წელია. 4-15 თებერვალს ინსბრუკში (ავსტრია) გაიმართება XII „თეთრი ოლიმპიადა", რაც სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს. ჩვენი გაზეთის ათასობით მკითხველს შორის ბევრი ადევნებს თვალყურს ოლიმპიურ თამაშებს, იცნობს მათს ისტორიას... „ლელოს" მკითხველებს ვთავაზობთ კონკურსს „ინსბრუკი — XII ოლიმპიადა", რომელიც სულ 25 შეკითხვას შეიცავს და გაზეთში ხუთ ნაწილად გამოქვეყნდება. ყოველი სერიის პირველ შეკითხვებზე სწორი პასუხის გაცემისთვის კონკურსის მონაწილეს დაეწერება 5 ქულა, დანარჩენი შეკითხვების ზუსტი პასუხისთვის — 3.

გამარჯვებულად ჩაითვლება კონკურსის ის მონაწილე, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. „ლელოს" ამ კონკურსში გამოვლენილი სამი პრიზიორი, ჩვენი გაზეთისგან საჩუქარს მიიღებს.

ყოველი სერიის შეკითხვებზე პასუხების გამოგზავნის ბოლო ვადაა (საფოსტო შტემპელის მიხედვით) მეშვიდე დღე გაზეთში შეკითხვების გამოქვეყნებიდან.

კონკურსის შედეგები შეჯამდება ოლიმპიური თამაშების შემდეგ.

კონკურსის მონაწილეებმა პასუხებთან ერთად რედაქციას ყოველთვის უნდა გამოუგზავნონ „ლელოდან" ამოჭრილი ტალონი, რომელიც შეკითხვებს შეიცავს, მათზე გარკვევით გაცემული პასუხები, ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, სამუშაო ადგილი და ზუსტი მისამართი.

შეკითხვები პირველი სერიისთვის:

1) როდის გადაწყვიტა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ზამთრის ოლიმპიადების ჩატარება? როდის და სად გაიმართა I თამაშები, რამდენი ქვეყნის რამდენი წარმომადგენელი გამოვიდა სტარტზე?

2) დაგვისახელეთ პირველი ოლიმპიადის გმირი, რამდენი და რა ხარისხის მედალი მოიპოვა მან და რით აღნიშნეს მისი დამსახურება?

3) რომელი ოლიმპიადის ჰოკეისტთა ტურნირში დამყარდა მიღებული და გატანილი შაიბების სხვაობის თავისებური რეკორდი, რომელ გუნდს ეკუთვნის ეს რეკორდი?

4) სად ჩატარდა 1952 წლის ოლიმპიადა, რიგით რომელი იყო იგი, ვინ გახდა ჩემპიონი ვაჟთა ფიგურულ ციგურაობაში, ვინ გაიმარჯვა 50 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში და რას უდრიდა ამ უკანასკნელის შედეგი?

5) რომელ წლებში და სად მოეწყო III და IV ოლიმპიადები, ვინ გაიმარჯვა საერთო გუნდურ ჩათვლაში?



თბილისში, განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დარბაზში გამართულ სპორტული სკოლების რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ჩვენი დედაქალაქის „განთიადის", „ლოკომოტივის", სხვა სპორტსაზოგადოებების, განათლების განყოფილების, გლდანის სკოლა-ინტერნატისა და ქუთაისის წარმომადგენლები.

სურათზე: პირადი პირველობის მონაწილე ჯ. ალთუნაშვილი („შრომითი რეზერვები") ორძელზე ვარჯიშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

10 ყველაზე პოპულარული

მოსკოვი, 27 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ ჩაატარა ტრადიციული წინასაახალწლო გამოკითხვა ქვეყნის 10 ყველაზე პოპულარული სპორტსმენის დასადგენად.

აი, ეს სიაც (ანბანის მიხედვით):

ტ. ავერინა („ბურევესტნიკი", გორკი) — ციგურებით სწრაფრბენა;
ს. ბელოვი (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი) — კალათბურთი;
ო. ბლოხინი („დინამო", კიევი) — ფეხბურთი;
ა. იაკუშევი („სპარტაკი", მოსკოვი) — ჰოკეი;
ი. კალინინა („ტრუდი", პენზა) — წყალში ხტომა;
ა. კარპოვი (შეიარაღებული ძალები, ლენინგრადი) — ჭადრაკი;
ე. კულიკოვი („ბურევესტნიკი", ლენინგრადი) — ციგურებით სწრაფრბენა;
პ. ლედნიოვი (შეიარაღებული ძალები, ლვოვი) — თანამედროვე ხუთჭიდი.
ზ. რუსტამოვა („დინამო", დუშამბე) — მშვილდოსნობა;
ლ. ტურიშჩევა („დინამო", დონის როსტოვი) — სპორტული ტანვარჯიში.

სულ სამასზე მეტმა ჟურნალისტმა 40-მდე სპორტსმენი დაასახელა.

საქართველოს მოსწავლე სპორტსმენები საკავშირო სარბიელზე

• •

თბილისელ ჭაბუკთა წარმატება

კურსკის ბრძოლების ადგილებში ამ სამი წლის წინათ ადგილობრივი პიონერები ტყეში ფოთლების სქელი ფენით დაფარულ თვითმფრინავის ნამსხვრევებს წააწყდნენ. როგორც გამოირკვა, ეს თვითმფრინავი ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირის გმირს ა. გოროვეცს, რომელმაც ერთი საბრძოლო დავალების შესრულების დროს გერმანელ ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლაში მტრის ცხრა საჰაერო მეკობრე გაანადგურა.

იმ წელს, როცა პიონერებმა გმირის ნეშტს და მის საბრძოლო მანქანას მიაკვლიეს, პირველად ჩატარდა გოროვეცის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც შემდეგ ტრადიციად იქცა. ტურნირში მხოლოდ ჭაბუკები მონაწილეობენ. წლევანდელ ასპარეზობაში, რომელიც ამ დღეებში ქალაქ ვიტებსკში ჩატარდა, ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა მთლიანად თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის აღსაზრდელებს მიენდოთ.

თბილისელმა მოსწავლეებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ შეჯიბრებას და 11 მოჭიდავიდან 9 შინ მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა, გუნდმა კი I ადგილი დაიკავა. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ 87-ე სკოლის მოსწავლე ნ. სანაძე (მწვრთნელი ს. ბახტაძე) და 31-ე სკოლის მოსწავლე რ. ელკანიშვილი (გ. ჯულუხიძე). მეორე პრიზიორები გახდნენ ნ. მამულაშვილი (26-ე სკოლა), მ. კვერნაძე (39-ე), თ. თეთრაძე (129-ე) და მ. ნიქაბაძე (140-ე). III ადგილები ხვდათ შ. კოშაძეს (36-ე), მ. ბახტაძეს (140-ე) და ვ. ბიბილურიძეს (მე-8).

საქართველოს განათლების სამინისტროს თავისუფალი სტილის მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრები გუნდი ამ დღეებში მოსკოვში, საახალწლო საკავშირო ტურნირში ასპარეზობდა. შეჯიბრების 220 მონაწილეს შორის ჩვენი რესპუბლიკის 11 წარმომადგენელი იყო. ჩემპიონობა მოიპოვა კასპის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლემ თ. გაბოძემ (მწვრთნელი ლ. კაციაშვილი). II ადგილზე თბილისელები ვ. პეტრუშენკო (115-ე სკოლა) და დ. ბეგლარიშვილი (მე-16) გავიდნენ, ხოლო III ადგილი ნ. ბეკურიშვილმა (118-ე) დაიკავა.

თ. ჭეიშვილი.

სახელოვანი ფალავნის ხსოვნის უკვდავსაყოფად

მას ათას კაცში გამოარჩევდით. ქალაქის ქუჩებში დააბიჯებდა როგორც მთა, გულივერი — ლილიპუტებს შორის. მის ვაჟკაცურ, ბუმბერაზულ იერს მუდამ თან ახლდა კეთილი და კაცთმოყვარე, უაღრესად გულჩვილი და გულისხმიერი ადამიანის ღიმილი.

ხალხისთვის იგი იყო ბეჭდაუდებელი და მუხლმოუდრეკი ფალავანი. სანდრო კანდელაკის სახელი ლეგენდად დარჩა ქართველი ხალხის წარმოდგენაში, ფიზიკური ძალისა და ვაჟკაცობის ლეგენდად. მასზე ათასგვარ ზღაპრებს ჰყვებოდნენ თანამედროვეები. ბევრი ამ ზღაპართაგანი სულ ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან.

... სანდრომ ტალახში ჩაფლული ურემი ამოათრია მას შემდეგ, რაც ორმა წყვილმა ხარ-კამეჩმა ვერაფერი გააწყო... სანდრომ ვეებერთელა სიმძიმის რკინა გაღუნა ასობით ალტაცებული მაყურებლის თვალწინ. ... სანდრომ ერთი ადგილიდან მეორეზე გადააგორა საფლავის ლოდი, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე უძრავად იყო ჩაჭედილი მიწაში.

ყველა ამ ლეგენდასა თუ სინამდვილეს ერთი ფარული მიზანი ჰქონდა: ხოტბა შეესხა ადამიანის ღონისთვის, რომელიც მუდამ კეთილი საქმის სამსახურისკენ იყო მიმართული.

სანდრო კანდელაკი სახელგანთქმული მოჭიდავე გახლდათ, რომელმაც თავისი დროის ყველა გამორჩენილ ფალავანს მოუსინჯა მკლავისა და მუხლის ძალა. სანდროს, როგორც ბეჭდაუდებელ გოლიათს, კარგად იცნობდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში, რუსეთში და, ასე გასინჯეთ, უცხოეთშიც კი, თუმცა იმხანად სპორტსმენებს იშვიათად ჰქონდათ კონტაქტები საზღვარგარეთელ კოლეგებთან.

სანდრო წარმოშობით მცხეთიდან იყო. იქ დაიბადა, გაიზარდა და დავაჟკაცდა. ამიტომაც ინახავენ აგრე სათუთად გოლიათი მოჭიდავის სახელს საქართველოს უძველეს ქალაქში, ამიტომაც ჩათვალეს მცხეთელებმა თავიანთ წმინდა მოვალეობად უკვდავეყოთ სახელოვანი თანამემამულის ხსოვნა მშვენიერი ძეგლით (მოქანდაკე მიძინა ავალიშვილი, არქიტექტორი მიხეილ ლაითაძე).

გუშინწინ მცხეთაში მოეწყო ამ ძეგლის საზეიმო გახსნა, რომელზეც თავი მოიყარეს ადგილობრივმა მოსახლეობამ და თბილისიდან ჩასულმა სტუმრებმა. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. მამუკელაშვილმა. მან და სიტყვით გამოსულმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა გ. სალარაძემ, ვ. ბალავაძემ, სანდრო კანდელაკის მეგობარმა დ. ჩაჩანიძემ, მცხეთის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ე. ნებიერიძემ, ადგილობრივმა სპორტის ოსტატმა მ. ჩხაიძემ ილაპარაკეს სახელოვანი მამულიშვილის დამსახურებებზე, მის სპორტულ საქმიანობაზე, გაიხსენეს ზოგიერთი დღემდე ცოცხალი სურათი ფალავნის ცხოვრებიდან.

სიტყვით გამოსულებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს მცხეთის რაიონის ხელმძღვანელობას და ძეგლის ავტორებს იმ გულისხმიერებისა და ყურადღებისთვის, რაც მათ სახელოვანი მოჭიდავის ხსოვნის უკვდავსაყოფად გამოიჩინეს.

ნ. ახვლედიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.)

მცხეთა.

* * *

სურათზე: სანდრო კანდელაკის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კანდიდატი

ბაკურიანი, 27 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ). ვაჟებიდან ესტაფეტა მოციგავე ქალებმა მიიღეს. სსრ კავშირის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში 26 სპორტსმენი ჩაება. მათ შორის ორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 11 სპორტის ოსტატია. მაღალი კვალიფიკაციის მოციგავეთა ასეთ სიმცირეს თავისი მიზეზი აქვს: ეს სახეობა საბჭოთა ქვეყანაში სულ რამდენიმე წელია დაინერგა, ტრასებიც თითებზე ჩამოსათვლელია და საერთაშორისო სარბიელზეც სულ სამიოდე წელიწ გავედით. მიუხედავად ამისა, საბჭოთა სპორტსმენებს ერთგვარი მიღწევები აქვთ მოპოვებული, მაგრამ წლევანდელ ზამთრის სეზონში მათს მთავარ საზრუნავს ინსბრუკის XII ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით მონაწილეობა შეადგენს. ახლა ყველა ღონისძიების მთავარი მიზანი ქვეყნის ოლიმპიური გუნდისთვის ღირსეული წევრების შერჩევაა და ამ მხრივ გამონაკლისი არც ბაკურიანის სტარტები გახლავთ.

გუნდების ხელმძღვანელებს აშკარად უჭირთ. მართალია, ნაკრების კანდიდატები შარშანდელი შეჯიბრებების შედეგების მიხედვით უკვე დაასახელეს, მაგრამ მჯობნის მჯობნი არასოდეს დალეულა და ამ სტარტის მიზანიც ისაა, რომ ერთხელ კიდევ შემოწმდეს, ვინ როგორ მოემზადა ოლიმპიური წლისთვის.

საკავშირო სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ს. ალექსეევმა დაგვისახელა 8 ფავორიტი, რომელთა შორის მხოლოდ ერთია სპორტის ოსტატობის კანდიდატი — 19 წლის ბრატსკელი სპორტსმენი ლ. ბელოკური.

ალექსეევს ფავორიტთა შორის არც ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ი. კონკინა დაუსახელებია, არც ბრატსკელი ოსტატი თ. გომოროვა, არც მისი თანაქალაქელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ს. ლევიტსკაია, მაგრამ გუშინდელ შეჯიბრებას, როცა სპორტსმენები ორ-ორჯერ ეშვებოდნენ, ტონს სწორედ ისინი აძლევდნენ. ნახევარი შეჯიბრების ჯამში (მეორე ორი დაშვება ამ დილით მოეწყო) მათ ბევრი ფავორიტი შეავიწროვეს.

გომოროვამ 800-მეტრიანი ტრასა (სიმაღლეთა სხვაობა — 99 მ, 8 ვირაჟი) ორივეჯერ 40 წამზე ნაკლებ დროში გაიარა. მისი სისწრაფე გამოცდილ სპორტსმენ ვაჟებსაც კი შეშურდებოდათ, რომლებმაც ერთადგილიანებით ასპარეზობა სწორედ გუშინ დაამთავრეს. გომოროვამ ორი ცდის ჯამში 1.19,30 აჩვენა და პირველი დღის მერე IV ადგილზეა. მაგრამ ამ შეჯიბრებას გამოკვეთილი ლიდერი მაინც ჰყავს. ესაა სსრ კავშირის ჩემპიონი და საერთაშორისო ბრძოლებში ნათლობამიღებული, რიგელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. ზოზულია („ვარპა"). უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი საბჭოთა მოციგავე ქალთა ლიდერიცაა.

სტარტი პირველმა ბელოკურმა აიღო და კარგი შედეგიც (40,30) მოიპოვა. ლენინგრადელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ტ. ბოგდანოვამ („სპარტაკი") მისი მაჩვენებელი 0,90 წამით გააუმჯობესა. ეს შედეგი მოსკოველმა ოსტატმა ტ. ტიხონოვამ („ზენიტი") გაიმეორა. ამასობაში ზოზულიას დროც დადგა. მან ყინულის ღარში ტყვიასავით ჩაიქროლა და წამზომებმა 38,50 აღნიშნეს.

ტურნირში სულ სამი პირველთანრიგოსანი მონაწილეობს. მათგან ორი ბაკურიანელია — თანატოლები ქეთევან ბაკაევა და ქეთევან ჯეირანაშვილი (ორივე — „სპარტაკი"). ისინი შეჯიბრების მონაწილეებში ყველაზე ახალგაზრდები არიან — 17 წელი ახლახან შეუსრულდათ. მართალია, ამჯერად ჯეირანაშვილმა ორი დაშვების ჯამში XVIII ადგილი დაიკავა, ბაკაევამ კი XXII, მაგრამ როგორც მათმა მწვრთნელმა ვ. მიქაბერიძემ თქვა, მიზეზი ისაა, რომ ამ ქალიშვილებს ჯერჯერობით გამოცდილება არ ჰყოფნით. შეჯიბრებამდე თითოეულმა 9-10 მეცადინეობის ჩატარება ძლივს მოასწრო. მათი გაბედულება და მონდომება ბევრს გვპირდება. აქვე ვიტყვით, რომ მხოლოდ ამ ორი ქალიშვილის იმედით საქართველოს საციგაო სპორტი შორს ვერ წავა.

ზოზულიამ მეორე დაშვებაც დიდი უპირატესობით მოიგო — 38,60. გადამწყვეტი დაშვების წინ იგი უახლოეს მეტოქეებს ტიხონოვასა და ბოგდანოვას შესაბამისად 1,50 და 1,60 წამით უსწრებდა.

მიუხედავად იმისა, რომ წინ კიდევ ორი დაშვება იყო, ზოზულიას ბაკურიანის ტურში წარმატება მივულოცეთ და, როგორც საბჭოთა ოლიმპიური გუნდის უპირველეს კანდიდატს, ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა საბჭოთა ნაკრების შანსებზე ზამთრის XII ოლიმპიადაში.

— მოლოცვისთვის მადლობას ჯერჯერობით ვერ გეტყვით,ნაადრევია. ვინ იცის, ხვალ რა მოხდება. რაც შეეხება ნაკრების შანსებს, ინსბრუკში მხოლოდ გამოცდილების მისაღებად როდი მივდივართ. გუნდის ყველა წევრი უმაღლესი ჯილდოებისთვის თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ. მართალია, შეუპოვარ მეტოქეობას გაგვიწევენ მასპინძლები, აგრეთვე, გდრ-ის, გფრ-ისა და იტალიის სპორტსმენები, მაგრამ ეს არ გვაშინებს.

გუშინ დაწყებული ქალთა ასპარეზობა ამ დილით დამთავრდა. ზოზულია ორივეჯერ კვლავ ბრწყინვალედ დაეშვა, მესამე ცდაზე ტურნირის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა (38,10) და საბოლოო ჯამში I ადგილი დაიკავა. საკავშირო ჩემპიონატის ჩათვლაში მან პირველი 25 ქულა მიიღო (სპორტსმენებს ეტაპებზე გამარჯვებისთვის 25 ქულა ეწერებათ, II ადგილისთვის — 19, III — 15, IV — 12...). ზოზულიამ ოთხი დაშვების ჯამში 2.33,70 აჩვენა და 4,20 წამით ჩამოიტოვა ტიხონოვა. ტიხონოვას და ბოგდანოვას ერთნაირი შედეგები (2.37,90) ჰქონდათ, მაგრამ ბოგდანოვა III ადგილზე დარჩა, ვინაიდან პირველი ორი ცდის მერე ტიხონოვა მას 0,10 წამს უგებდა. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოველი სპორტის ოსტატი ა. მაევსკაია („ბურევესტნიკი") — 2.38,00, ლ. ოსიპოვა (რსფსრ, „სპარტაკი") — 2.39,10, ი. კონკინა (ლენინგრადი, „სპარტაკი") — 2.39,70.

გომოროვას და ბელოკურს ამ დილით ხელი მოეცარათ და ექვსეულში ვერ მოხვდნენ.

რაც შეეხებათ საქართველოს გუნდის წევრებს, ჯეირანაშვილმა საბოლოოდ XVII ადგილი დაიკავა (2.48,30), ხოლო ბაკაევა მეოცე იყო — 3.03,10.

დღეს მოეწყო ორადგილიანებით შეჯიბრების მონაწილეთა საწვრთნელი და ოფიციალური საცდელი დაშვებები, ხვალ დილით კი ისინი საბოლოოდ გაარკვევენ ურთიერთობას.

ო. გელაშვილი.

„თეთრი ოლიმპიადის" საგზურებისთვის

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, სათხილამურო სპორტის საუკეთესო საბჭოთა ოსტატები მოსკოვის ოლქის ქალაქ კრასნოგორსკის მიდამოებში ასპარეზობენ, ინსბრუკის „თეთრი ოლიმპიადის" საგზურებისთვის იბრძვიან. ჩვენ ვიტყობინებოდით ნოვოსიბირსკელი ზ. ამოსოვას გამარჯვების შესახებ რვაკილომეტრიან რბოლაში, სადაც II ადგილზე გავიდა საპოროს ოლიმპიადის გმირი, იჟევსკელი გ. კულაკოვა. ამ სპორტსმენებმა „როლები" გაცვალეს: მანამდე კულაკოვამ ყველას აჯობა 5 კილომეტრზე რბენაში (21.24,04), მეორე კი ამოსოვა იყო (21,30,0). III ადგილზე გავიდა სიკტივკარელი რ. სმეტანინა (სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები) — 21.56,0.

ვაჟები 15 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ს. საველიევმა (შეიარაღებული ძალები) — 46.52,4. II ადგილი დაიკავა სიკტივკარელმა ნ. ბაჟუკოვმა (შეიარაღებული ძალები) — 47.10,4, III — ასევე სიკტივკარელმა ნ. როჩევმა („დინამო") —47.20,4. ამ სამეულმა ჩამოიტოვა ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც არიან კიროველი ი. სკობოვი, მოსკოველი ფ. სიმაშოვი, ლენინგრადელი ვ. ბელიაევი, მოსკოველები ვ. ვორონკოვი, ა. შმიგუნი, რუდნელი ი. გარანინი...



ჭიათურა. ქართული მარგანეცის ქალაქში ველოსპორტის ენთუზიასტები ყოველგვარ ამინდში მეცადინეობენ.

საკდესის ფოტო.

საყურადღებო წინადადებები

24 დეკემბერს თელავში მოეწყო გაზეთ „ლელოს" მკითხველთა კონფერენცია, რომელმაც ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „ლელოს" რედაქციის თანამშრომელი დ. ჭელიძე. მან მიმოიხილა გაზეთის საქმიანობა, შეეხო მტკივნეულ საკითხებსაც. კერძოდ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული პერიფერიებში გაზეთის კორესპონდენტთა ქსელის დამაკმაყოფილებელი მუშაობის საკითხი. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო, თუ რას აკეთებს რედაქციის კოლექტივი მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

დ. ჭელიძემ ილაპარაკა რედაქციის განყოფილებათა მუშაობაზე, გაზეთის რუბრიკებზე, მათს დანიშნულებაზე.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა თელავის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ა. სახიევი. მან გამოთქვა თავისი მოსაზრებები და შენიშვნები გაზეთის რედაქციის მუშაობის შესახებ. ა. სახიევმა თქვა, რომ სასურველია გაზეთის ფურცლებზე უფრო ხშირად იბეჭდებოდეს არა მარტო მოკლე ინფორმაციები ან შეხვედრათა ანგარიშები, არამედ ნარკვევები თუ სხვა ვრცელი მასალები ადგილობრივი ფიზკულტურული კოლექტივების, მათი ცხოვრების ავ-კარგის შესახებ.

კონფერენციაზე გამოითქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება. წამოაყენეს საყურადღებო წინადადებები, რომლებსაც გაზეთ „ლელოს" რედაქცია გაითვალისწინებს მომავალ მუშაობაში.

(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.

შეკითხვა: ვსწავლობთ IX კლასში, სადაც 12 გოგონა და 13 ბიჭია. გთხოვთ გვიპასუხოთ, გაიყოფა თუ არა კლასი ორ ჯგუფად ფიზკულტურის გაკვეთილზე?

მანანა სოზაშვილი,
თამარ ჯანიაშვილი.

სოფ. ძველი ანაგა,
სიღნაღის რაიონი.

პასუხი: სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად, ფიზკულტურის გაკვეთილზე IX-X კლასები ორ ჯგუფად გაიყოფიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 25-ს. ამასთან, თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს, სულ ცოტა 8 გოგონა ან ჭაბუკი.

თქვენი კლასი ორ ჯგუფად არ გაიყოფა, ვინაიდან მასში მხოლოდ 25 მოსწავლეა.

სიურპრიზების დღე

სსრ კავშირის ჩემპიონატი

● ●

ვილნიუსი, 26 დეკემბერი. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა დღეს იმდენი მოულოდნელი რამ მოხდა, რომ მას თამამად შეიძლება სიურპრიზების დღე დავარქვათ. სიურპრიზები კი მართლაც სხვადასხვაგვარი იყო.

პირველი სენსაცია მოხდა ტარტუს „კალევისა" და მინსკის რტი-ს შეხვედრაში. როგორც წლევანდელ ჩემპიონატზე საუბრისას რამდენიმეჯერ ვთქვით, გუნდები ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს ოსტატობის დონით, რომ ძნელი სამარჩიელოა, ვინ მოიგებს დღეს უსათუოდ ბრძოლას და ვინ დამარცხდება. მაგრამ საერთოდ სპორტშიც და კალათბურთშიც მაინც არსებობს რანგთა ტაბელი, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ძლიერებსა და შედარებით სუსტებს. შესაძლოა ეს ტაბელი ამა თუ იმ გუნდის წარსული ღირსების გათვალისწინებით დგება. ზოგჯერ მხედველობაში იღებენ წინა ჩემპიონატის შედეგებს. ასეა თუ ისე, მუდამ არის შესაძლებელი, რომ ზოგმა შედეგმა გაგვაცვიფროს, ზოგი კი კანონზომიერად ჩავთვალოთ.

ესტონეთისა და ბელორუსიის კალათბურთელთა შეხვედრის წინ სპეციალური გამოკითხვა რომ მოეწყოთ, მწვრთნელთა უმრავლესობა უპირატესობას „კალევს" მიანიჭებდა. რტი-მ კი ასეთი რწმენის მომხრეთა მოსაზრებებს ცივი წყალი გადაასხა, დაამარცხა „კალევი" ანგარიშით 76:75 (39:34) და მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში.

მეორე სიურპრიზი შემოგვთავაზა უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა — რიგის არმიელთა კოლექტივმა. მან ქულა წაართვა გუნდს, რომელიც კანონიერ უფლებას აცხადებს ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე, მოსკოვის „დინამოს". არმიელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 75:73 (44:34).

მესამე სიურპრიზი უფრო სხვაგვარი ხასიათისაა. ამ შემთხვევაში მოულოდნელი შედეგი კი არ იყო, არამედ თვით გამარჯვების ფაქტი. მხედველობაში გვაქვს თბილისის „დინამოს" და ვილნიუსის „სტატიბას" თამაში. ვილნიუსის კალათბურთელთა ძლევა შინ არც ისეთი იოლი საქმეა, ამიტომ მოულოდნელი არც შეიძლება ყოფილიყო მათი გამარჯვება. მაგრამ „სტატიბამ" მოიგო ყოვლად უიმედო, უკვე აშკარად წაგებული ბრძოლა და სიურპრიზად სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ.

თბილისელებმა მატჩის 39 წუთი მოანდომეს იმ უპირატესობის განმტკიცებას, რომელსაც მათთვის ბოლოს და ბოლოს ქულა უნდა მოეტანა (ტაიმი დინამოელებმა მოიგეს — 43:39). ეს უპირატესობა, რომელიც ზოგჯერ 8-10, უფრო მეტად კი 5-6 ქულით გამოიხატებოდა, არც ისე მერყევი ჩანდა, განსაკუთრებით შეხვედრის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე.

„სტატიბამ" მე-40 წუთზე მდგომარეობის გამოსწორების უკანასკნელი ცდა წამოიწყო. მან ნაწილობრივ მიაღწია კიდეც საწადელს, მაგრამ, როცა შეხვედრის დამთავრებამდე 5 წამით ადრე ბურთს თბილისელები დაეუფლნენ, თითქოს ყველაფერი გადაწყდა. 5 წამი და ერთქულიანი უპირატესობა (72:71) — ეს იყო „დინამოს" კოზირი, რომელსაც მისთვის გამარჯვება უნდა მოეტანა.

5 წამი „სტატიბა"-სთვის ფაქტიურად მთელი საუკუნე იყო, ვინაიდან ბურთს თბილისელები ფლობდნენ. მაგრამ ამ ხუთ წამში მოხდა ის, რამაც თავდაყირა დააყენა მთელი 40-წუთიანი სიუჟეტი: „დინამომ" დაკარგა ბურთი, ხოლო „სტატიბას" ბოლო წამზე ზუსტმა სროლამ გამარჯვება მოუტანა — 73:72.

რა შეიძლება იყოს ამაზე მოულოდნელი?

დანარჩენ შეხვედრებში ფავორიტებმა დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს: კიევის „სტროიტელმა" დაამარცხა ერევნის ფისკ-ი —103:73 (45:36. სალნიკოვმა 45 ქულა შეხძინა „სტროიტელს"), ლენინგრადის „სპარტაკმა" — სვერდლოვსკის „ურალმაში" — 104:66(52:24), ცსკა-მ კი — კაუნასის „ჟალგირისი" — 108:63 (51:29). ამ ბოლო მატჩში კაუნასელმა კალათბურთელებმა აშკარად დაზოგეს ძალები თბილისის დინამოელებთან მატჩის წინ.

ახლა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ განაწილდა ადგილები ექვსქულიანთა შორის სატურნირო ცხრილში. თბილისის „დინამო" VII ადგილზეა იმიტომ, რომ სამივე კონკურენტთან პირადი შეხვედრები წააგო. „სტროიტელს" ოთხთა მიკროტურნირში + 4 ქულა აქვს. V ადგილი + 1 ქულით მოსკოვის „დინამოს" ერგო, ხოლო VI — „სტატიბას" (—5 ქულა).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	10	9	1	1023—717	9
„სპარტაკი"	10	8	2	810—683	8
„ჟალგირისი"	10	8	2	837—794	8
„სტროიტელი"	10	6	4	795—738	6
„დინამო" მ.	10	6	4	804—760	6
„სტატიბა"	10	6	4	821—820	6
„დინამო" თბ.	10	6	4	758—748	6
რტი	10	4	6	786—853	4
„კალევი"	10	3	7	743—799	3
ასკ	10	2	8	671—790	2
„ურალმაში"	10	1	9	706—883	1
ფისკ	10	1	9	748—917	1

რაზე საუბრობდნენ, რას უჩიოდნენ მწვრთნელები?

თემა, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდურმა საბჭომ აირჩია ბავშვთა შორის მომუშავე მწვრთნელთა შეკრებაზე განსახილველად, მოკლე და კონკრეტული იყო: „სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და მოსწრების შემოწმება საფეხბურთო სკოლაში“.

რა თქმა უნდა, საკითხი თავისთავად სერიოზული და საინტერესოა, ვინაიდან სასწავლო პროცესის ორგანიზაცია ნორჩ ფეხბურთელებთან მთელი საერთო მუშაობის ერთ-ერთი მთავარი, ძირითადი უბანია. მასზეა დაფუძნებული სპორტსმენის ზრდისა და ჩამოყალიბების ურთულესი პრობლემები, ხოლო მოსწრების შემოწმება ფეხბურთში, ისევე როგორც სხვა სახეობებში თუ საგნებში, მუდმივმოქმედი ფაქტორია, რომელიც მომეცადინეებსაც აიძულებს სრული პასუხისმგებლობით მოეპყრან შესასწავლ მასალას და მწვრთნელსაც საშუალებას აძლევს კონტროლი გაუწიოს მისი ათვისების ხარისხს.

მაგრამ ის საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, პოლემიკა, რომელიც ნორჩ ფეხბურთელთა აღმზრდელებს შორის გაიმართა ფიზკულტურის ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში, შორს გასცდა ლოკალურ თემას და არსებითად გადაიზარდა სადღეისო, საჭირბოროტო, საკვანძო საკითხებზე მსჯელობაში, რომელმაც ბევრი სხვა პარალელური პრობლემაც მოიცვა. ლაპარაკი იყო ბაზებზე, მზადების მეთოდებზე, შეჯიბრებათა ორგანიზაციაზე, კონტინგენტის შერჩევაზე, უფროსთა გუნდებთან კონტაქტებზე, სასწავლო პროგრამებზე, შემოწმებათა საშუალებებზე და ა. შ.

დამსწრეთა წინაშე სიტყვებით გამოვიდნენ თ. კუბლაშვილი (თბილისის განათლების განყოფილების საფეხბურთო სკოლა), ო. უშვერიძე („დინამო“), ი. ლოსაბერიძე (ქუთაისის განათლების განყოფილების საფეხბურთო სკოლა), ა. კოტრიკაძე („განთიადი“). კამათში მონაწილეობდნენ ო. ყორღანია (თბილისის მსაჯთა კოლეგია), ვ. მდივანი (რესპუბლიკური ფედერაცია), ა. გუკასიანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ცალკეულ გამომსვლელთა სიტყვების შინაარსზე შეჩერება და აქცენტის გაკეთება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ვინაიდან ეს დააქუცმაცებს, დააწვრილმანებს იმ კარდინალურ პრობლემებს, რომლებიც ნორჩთა ფეხბურთის წინაშე დგას და ცალკეული სკოლების საშინაო გადასაწყვეტ საკითხად აქცევს იმას, რაც ყველას სატკივარია, რაც ფართო ფრონტის. დიდი მასშტაბის დილემაა და ერთიან გადასაჭრელ საქმედ გვესახება ოსტატთა ფეხბურთის რეზერვების აღზრდის გადაუდებელი ამოცანების განხორციელების ღარგში. მით უმეტეს, რომ ხელშემშლელი პირობები დაახლოებით იდენტურია თბილისშიც, ქუთაისშიც და, ცხადია, რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

რაზე საუბრობდნენ მწვრთნელები, რას უჩიოდნენ, რა აწუხებდათ?

პირველი გაჭირვება, თავიდათავი, უმთავრესი, რაც ხელს უშლის ჩვენი სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების ნორმალურ მუშაობას, ესაა საწვრთნელი ბაზების, სათამაშო მოედნების დიდი ნაკლებობა და, ზოგ შემთხვევაში — უქონლობაც. არაა სტანდარტული ზომის, ბალახისსაფარიანი, მოვლილი მინდვრები, სადაც მწვრთნელს საშუალება ექნება ბავშვებს მისცეს პროგრამით გათვალისწინებული დავალებანი ტექნიკური ილეთების შესასწავლად, რიგიანად ასათვისებლად, მრავალჯერ გასამეორებლად. მინდორს ეძებს ყველა, ეძებს გამუდმებით, უმეტეს შემთხვევაში ვერ პოულობს და, თუ კი პოულობს, უკვე ველარ აცხადებს რაიმე პრეტენზიას მის ავკარგიანობაზე. ან ვის, რომელ სკოლას ან მწვრთნელს მოუვა აზრად ჩვენს პირობებში კრინტი დაძრას იმის თაობაზე, კარგია სავარჯიშო მოედანი თუ არა? პრინციპი ასეთია: გიშოვია — მადლობა თქვი, თორემ ამასაც დაკარგავ.

იმ ყოვლად უხარისხო მინდვრებზე, რომლებიც ჩვენი სკოლების განკარგულებაშია, მართლაც ძნელია ბავშვი აიძულო შეასრულოს რთული ტექნიკური ილეთები. ტრავმა ბევრ შემთხვევაში გარდაუვალია. მაგრამ ასეა თუ ისე, სასწავლო პროცესი ზაფხულის თვეებში ამ გაქვავებულ პოლიგონებზე მაინც მიმდინარეობს, ზამთრობით კი საქმე გაცილებით ცუდადაა. დარბაზი თითქოს არავისა აქვს. როგორც კი აცივდება, წვიმს ან თოვს, მწვრთნელები გადადიან სრულ თვითშემოქმედებაზე. თეორიული მეცადინეობები ერთადერთი იძულებითი გამოსავალია, სადაც მწვრთნელი ინარჩუნებს რეალურ კონტაქტს მოსწავლეებთან.

ინვენტარი თითქოს არც ისე გადაუჭრელი პრობლემა უნდა იყოს, რომ ყველა ბაზაზე მოეწყოს სავარჯიშო კედლები, დგარები, სხვადასხვა ზომის კარები, მოწყობილობა დაკიდებული ბურთებისთვის, სექტორები დამხმარე სახეობებში სავარჯიშოდ. ეს ყველაფერი დღემდე ოცნების სფეროდ რჩება მათთვის, ვინც მოწოდებულია მომავალში მაღალი ხარისხის ცვლა დიდი ფეხბურთისთვის. კეთილმოწყობილ ბაზებს ვინ ჩივის, როცა სკოლების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ ბავშვთათვის განკუთვნილი, შემცირებული გაბარიტების ბურთებითა და ფორმით.

ამ სავალალო ფონზე, როგორც ოაზისი საჰარის უდაბნოში, განცალკევებით დგას „განთიადის“ საფეხბურთო სკოლის ბაზა „ისნის“ სტადიონზე. ქება და დიდება თბილისის საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელობას, კერძოდ, მის დირექტორს ი. ხვედელიანს, რომელმაც საკუთარი თაოსნობით, სპორტისადმი და ახალგაზრდობისადმი სიყვარულით არ დაიშურა ძალები და სახსრები და პირველხარისხოვანი, შესანიშნავი საწვრთნელი კომპლექსი ააგო. არც მეტი, არც ნაკლები, ეს საშვილიშვილო საქმეა ჩვენში ამჟამად არსებული საფეხბურთო ბაზების პირობებში.

გასაკვირი არაა, რომ რესპუბლიკაში შექმნილ ასეთ ვითარებაში მწვრთნელებს უჭირთ მომეცადინეთა საჭირო კონტინგენტის შერჩევა. ისინი დადიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სასწავლებლებში, ეძებენ შესაბამისი მონაცემების მქონე ნიჭიერ ბავშვებს, მაგრამ ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო შემდგომში ვერ უქმნიან მათ საჭირო სამეცადინო პირობებს და განთესვის პროცენტიც, დენადობა საფეხბურთო სკოლებში დიდია.

ნორჩ ფეხბურთელთა სპორტული ოსტატობის ზრდაზე ძალიან უარყოფითად მოქმედებს ის გარემოება, რომ მათთვის არასაკმარისი რაოდენობით ტარდება ოფიციალური შეჯიბრებები. ამას უჩივის ყველა — მწვრთნელებიცა და თვით ბავშვებიც. მართლაც, მხოლოდ შიდასასკოლო და ამხანაგური შეჯიბრებები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლის იმ დიდ მისიას, რომელიც ნამდვილ ასპარეზობას აკისრია. თბილისის განათლების განყოფილების საფეხბურთო სკოლაში, მაგალითად, 1300-მდე ბავშვია გაერთიანებული, ოფიციალურ შეჯიბრებებში კი აქედან სულ 2-3 ნაკრები მონაწილეობს, დანარჩენი მასა იძულებულია „შინაურულ“ მატჩებში მონაწილეობით დაკმაყოფილდეს. რა თქმა უნდა, ეს სტიმულსა და ხალისს უკარგავს ბავშვებს, აფერხებს მათს სპორტულ პროგრესს. სპეციალური ტურნირების ორგანიზება, ჩვენი აზრით, არ უნდა წარმოადგენდეს ისეთ რთულ საქმეს, რომ მისი გადაჭრა ასე ძნელი იყოს.

საუბრის მონაწილეთაგან რამდენიმემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების ერთი ნაწილი არ ზრუნავს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის და ძველი ცოდნით, მარტოოდენ თავის გამოცდილებით ლამობს ფეხბურთელთა აღზრდას. ეს ძალიან სერიოზული საკითხია. ფეხბურთში, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სხვა დარგში, დიდი ძვრები ხდება, ინერგება საინტერესო სიახლეები, მეცნიერება, თეორია და პრაქტიკა გვაწვდიან პროგრესულ, ნოვატორულ მეთოდებს, ახალ პედაგოგიურ ხერხებს და მათი უგულებელყოფა ნიშნავს ჩამორჩე თვითონაც, როგორც სპეციალისტი, და ჩამორჩენო ბავშვიც, რომელიც აღსაზრდელად მოგანდეს. ამ შემთხვევაში მწვრთნელთათვის აუცილებელია პერიოდული სემინარების მოწყობა, სადაც განიხილება წვრთნის ახალი საკითხები, მოხდება გამოცდილების გაზიარება და სხვ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამგვარ სემინარებზე შეიძლება საჩვენებელ მეცადინეობათა ჩატარება, სამეცადინო პროგრამების, კონსპექტებისა და გეგმების განხილვა, სასარგებლო თაოსნობის გამოჩენა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, უბრალოდ, ერთმანეთისგან სწავლა. სკოლების კარჩაკეტილობა და იზოლაცია საუწყებო ინტერესების ფარგლებში ზიანის მეტს არაფერს მოუტანს უპირველეს ყოვლისა მთავარ საქმეს — ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდას.

ჩვენი მწვრთნელები ახლა ბევრს მუშაობენ წვრთნის მეთოდიკის საკითხებზე, ექსპერიმენტული ხასიათის გარკვეულ სამუშაოებსაც ატარებენ, ეძებენ, მაგრამ ამ რთულ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, დასადგენი და მისაგნები. საინტერესო საკითხია, მაგალითად, როგორი ჯობია ბავშვებთან მუშაობა — ბრიგადული მეთოდით, როცა სავარჯიშო მოედანზე რამდენიმე მწვრთნელია და თითოეული მათგანი ერთ რომელიმე ელემენტს ასწავლის მომეცადინეებს ჯგუფის შემდგომი პედაგოგისთვის გადაბარებით, თუ ის, რომ მწვრთნელს გარკვეული გუნდი ჰყავდეს და მასთან გადიოდეს მთელ სასწავლო პროცესს თავიდან ბოლომდე. ასეთი რთული პრობლემები მარტო პრაგმატული ხერხით, გამოცდილების საფუძველზე კი არ უნდა წყდებოდეს, არამედ მეცნიერული დაკვირვებით, ღრმა, საფუძვლიანი შესწავლით.

ბავშვთა მწვრთნელების ამ ფორუმზე ასეთი კითხვა დავსვით მათს წინაშე: რას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სპეციალიზებულ სკოლებში მომუშავენი თავიანთს საქმიანობაში — გუნდების მომზადებას, რომლებიც წარმატებით იასპარეზებენ სხვადასხვა შეჯიბრებაში, თუ პერსპექტიულ ფეხბურთელთა გამოვლენას და აღზრდას, რომელთაგან მაღალი კლასის მოთამაშეები უნდა ჩამოყალიბდნენ ოსტატთა გუნდების შესავსებად? ყველამ ერთი და იგივე პასუხი გაგვცა: რა თქმა უნდა, მთავარია მაღალი კლასის ფეხბურთელის, ოსტატის აღზრდაო.

სწორია ეს. კურსი იქითკენ, რომ გამოვლინდნენ ნამდვილი, ხალასი ტალანტები, რომ პრიორიტეტი მიეცეს საგანგებო მუშაობას თანამედროვე ტიპის, ექსტრა-კლასის მოთამაშეთა აღსაზრდელად, ის შეუცდომელი გზაა, რომელიც აუცილებლად გამოიღებს სასურველ ნაყოფს იმ სერიოზული კრიზისის დასაძლევად, რასაც ახლა განვიცდით მაღალი კლასის ფეხბურთელთა უყოლობით. საპატიო ადგილის დაკავება სხვადასხვა შეჯიბრებაში თავისთავად აქტუალური ამოცანაა ყოველი სკოლისა თუ მწვრთნელისთვის, უამისოდ სპორტი არ არსებობს, მაგრამ ეს ადგილები წარმავალი ამბავია, დღეს გაიმარჯვებ ტურნირში, ხვალ სხვას დაუთმობ პირველობას, ოსტატს კი, რომელსაც მიაწვდი თბილისის „დინამოს“ თუ ქუთაისის „ტორპედოს“, სულ სხვა მნიშვნელობა და წონა აქვს.

დავსვათ ასეთი კითხვა სპორტის მოყვარულთა და მკითხველთა წინაშე: რომელ მწვრთნელს უფრო სცემენ ისინი პატივს, მას, ვინც გუნდი I ადგილზე გაიყვანა ბავშვთა რომელიმე შეჯიბრებაში, თუ მას, ვინც პირველხარისხოვან ოსტატებს უზრდის დიდ გუნდებს? რასაკვირველია, ამ უკანასკნელს, ვინაიდან იგი ფასდაუდებელ, საშვილიშვილო ამაგს უწევს საქართველოს ფეხბურთს; ტალანტების სისტემატური აღმომჩენი და აღმზრდელი თვითონაც ტალანტია. საქმისადმი ასეთი მიდგომა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოსპობს ქულათა ძიების მანიას და მატჩების წინასწარ დაგეგმილ დათმობას, ელემენტარულ აღებ-მიცემობას, რაც ახლა ძალიან ხშირია ჩვენში. განა დასაშვებია ის ამბავი, რომ ბრძოლის წყურვილით გამსჭვალულ ბავშვებს თამაშის წინ ეუბნებიან, დღეს თავს ნუ მოიკლავთ მაინცდამაინც, დაუთმეთ ეს მატჩი მეტოქეს, ვინაიდან მას ქულები ესაჭიროებაო!

აი, ამაზე საუბრობდნენ იმ საღამოს მწვრთნელები, ეს აწუხებდათ მათ და, ვფიქრობთ, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მომავალში სისტემად აქცევს ბავშვთა შორის მომუშავე სპეციალისტთა ასეთ ურთიერთკონტაქტებს, ხშირად მოაწყობს მსგავს კონფერენციებს, დიდ სამსახურს გაუწევს იმ საპატიო საქმეს, რომელსაც დიდი ფეხბურთის რეზერვების აღზრდა ჰქვია.

ზ. ძორძია.

ეს სურათი ამოღებულია ჩეხოსლოვაკიის სპორტულ ჟურნალ „სტადიონიდან“. მასზე ნაჩვენებია, თუ როგორ გადიან წვრთნას პრაღის „დუკლის“ მოსამზადებელი ჯგუფის ნორჩი ფეხბურთელები.

ფეხბურთი

დედაქალაქის ჩემპიონატი

თბილისის საფეხბურთო მინდვრებზე 9 თვის მანძილზე მიმდინარეობდა დედაქალაქის ჩემპიონატის დაძაბული ბრძოლები ფაბრიკა-ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლებისა და დაწესებულებათა გუნდებს შორის.

ჩემპიონის წოდება წილად ხვდა შარშანდელი გათამაშების მეორე პრიზიორს — მსუბუქი ტაქსების № 3 დაწესებულების გუნდს „თოლიას“ (მწვრთნელი გ. დარსმელიძე). „თოლიას“ ეს წარმატება უნდა აიხსნას იმით, რომ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაში კარგადაა დაყენებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმე, კერძოდ, ხელმძღვანელობა (დირექტორი გ. ნინოშვილი) ჯეროვან ყურადღებას უთმობს ფეხბურთელებს და მათს გამოსვლებს საქალაქო შეჯიბრებებში.

თანაბრად, მონდომებით ჩაატარეს ჩემპიონატი სპორტკლუბ „ელვის“ წარმომადგენლებმა (მწვრთნელი ი. კანდელაკი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი უ. მოსეშვილი) და ღირსეულ წარმატებასაც მიაღწიეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია საიუველირო ქარხნის (დირექტორი ლ. ოქილაური) გუნდის „ლალის“ წარმატება. ეს გუნდი (მწვრთნელი გ. აბულაძე, მეთოდისტი ტ. ცხაკაია) სულ მესამე წელია საქალაქო პირველობაში მონაწილეობს და უკვე პრიზიორის დონეზე ავიდა. აქაც უნდა აღინიშნოს ქარხნის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების დიდი დაინტერესება ფიზიკური კულტურითა და სპორტით, ფეხბურთის განვითარებით.

II ჯგუფის გუნდებს შორის წარმატებას მიაღწიეს გლდანის საწარმოო კომბინატის გუნდმა „არმაზმა“ (მწვრთნელი ი. ხაჭკიანი, მეთოდისტი ე. მაჩკალოვი) და კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა (მწვრთნელი ა. კიკალიშვილი, უფროსი ინსტრუქტორი ფ. კოლესიდი). ეს გუნდები გაისად I ჯგუფში ითამაშებენ, ხოლო ხის დამმუშავებელი და საავეჯო ქარხნების გუნდები II ჯგუფში გამოვლენ.

საქალაქო ასპარეზობა საინტერესოდ ჩატარდა, მაგრამ მას ხარვეზებიც ჰქონდა. მაგალითად, ჯერ კიდევ ცუდადაა სათამაშო მინდვრების საქმე. ფეხბურთელთა კოლექტივები განიცდიან ბაზების მწვავე ნაკლებობას და სათამაშო მინდვრების სიმცირე იგრძნობა საქალაქო კალენდარული მატჩების ჩატარების დროსაც. ამ მხრივ უნდა აღვნიშნოთ მაუდ-კამვოლის კომბინატის, თბილისის არმიის სპორტკლუბისა და „ჯანმრთელობის“ სტადიონების დირექციათა ხელშეწყობა საქალაქო შეჯიბრებათა მიმართ.

ჯერ კიდევ ხშირია დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, თუმცა მდგომარეობა წინა ჩემპიონატთან შედარებით გაუმჯობესდა. უწესრიგობის ფაქტები იყო „თოლიაში“, „ელვაში“, „ლალში“, ინციდენტები მოხდა ფიზკულტურის ინსტიტუტის, თუჯსასხმელი ქარხნის, სამედიცინო ინსტიტუტის, № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნისა და სხვა კოლექტივებში.

მატჩებს მაღალ დონეზე ემსახურებოდნენ მსაჯები ნ. ამირეჯიბი, თ. სადილიანი, თ. ლაცაბიძე, რ. ფანჯარაშვილი, დ. გაგნიძე, ნ. კლოჩკოვი, ვ. კლიმენკო, გ. ხეფიაშვილი, ა. მანუკიანი, ვ. ეჯიბია, ლ. დონდაძე და სხვანი, მაგრამ კვლავ და კვლავ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ ისეთი მსაჯები, როგორიც არიან ს. ალიხანოვი, თ. გრიგორაშვილი, ჯ. ჭკუასელი, თ. კალანდაძე, გ. შილაკაძე, ი. მჭედლიშვილი, ე. ჩიფჩიაური, გ. სულაძე და სხვანი, თავს არიდებენ საქალაქო შეხვედრათა მომსახურებას.

გვინდა გამოვთქვათ საყვედური ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრთა მიმართაც. ბევრი მათგანი არ ესწრება ჩემპიონატის მატჩებს, არ იჩენს სათანადო აქტიურობას დედაქალაქში ფეხბურთის შემდგომი განვითარებისთვის.

ა. აბულაშვილი,
თბილისის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათზე: თბილისის 1975 წლის ჩემპიონი „თოლია“. სხედან (მარცხნიდან) — ვ. ხვედელიძე, ა. პროხოროვი, ს. კანტარჩიანი, ა. კოსტიუკი, ა. ოსიპოვი, კ. კაკაურიძე; დგანან — გ. დარსმელიძე, გ. ჯიმშარიანი, გ. მუსტაევი, ლ. მატინიანი, ა. ხვადაგიანი, თ. მახარაძე, ზ. დავითაშვილი, ნ. აფციაური, ვ. ბერიტაშვილი, ვ. ქარუმიძე, ი. ლაბაძე.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„თოლია“	24	19	3	2	70—29	41
„ელვა“	24	17	4	3	82—31	38
„ლალი“	24	14	4	6	75—44	32
„ივერია“	24	12	5	7	44—41	29
„ელმავალი“	24	10	6	8	44—38	26
„მეფოლადე“	24	10	6	8	45—42	26
ფიზკ. ინსტ.	24	10	5	9	47—49	25
მწვრთ. სკ.	24	8	4	12	45—46	20
„მშენებელი“	24	8	2	14	38—61	18
სამ. ინსტ.	24	6	6	12	36—63	18
ტელესტუდია	24	6	5	13	35—48	17
ავტოსარემ. ქარხ. № 1	24	6	2	16	52—81	14
სამხ. აკად.	24	4	2	18	33—63	10

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მედისონ სკვერ-გარდენის" ყინულზე

დღეს ნიუ იორკის სახელგანთქმულ „მედისონ სკვერ-გარდენში" მატჩით „ნიუიორკ რეინჯერსი" — ცსკა — დაიწყება საბჭოთა ჰოკეისტთა ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მომავალი მატჩების მნიშვნელობა როგორც საბჭოთა, ისე კანადელი ჰოკეისტებისთვის. კი მაგრამ რატომ კანადელებისთვის? — იკითხავთ თქვენ. იმ რვა მატჩიდან, რომლებსაც ცსკა და მოსკოვის „კრილია სოვეტოვი" გამართავენ ოკეანის გაღმა, ხომ მხოლოდ ერთი ჩატარდება კანადაში, დანარჩენი შვიდი კი — აშშ-ს ექვს ქალაქში.

საქმე ის არის, რომ აშშ-ს კლუბების წევრთა უმეტესობას კანადელები შეადგენენ, რომელთაგან ბევრი უწინაც შეხვედრია საბჭოთა ჰოკეისტებს.

ცსკა-ს დღევანდელი მეტოქე „ნიუიორკ რეინჯერსი" სახელგანთქმული გუნდია ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. მართალია, ბოლო დროს ამ გუნდის თამაში უწინდებური ბრწყინვალებით აღარ გამოირჩევა, მაგრამ მისი ძალა ნამდვილად ანგარიშგასაწევია, მით უმეტეს, რომ ახლახან კლუბმა „ბოსტონ ბრუინზს" ზღაპრული თანხა გადაუხადა ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო სნაიპერში ფილ ესპოზიტოში. აქვე უნდა ითქვას, რომ „რეინჯერსი" ლიგის უმდიდრეს კლუბთა რიცხვს მიეკუთვნება. მისი მენეჯერი ემილ ფრენსისი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ძველი დიდება დაუბრუნოს გუნდს და ამიტომ ძლიერი მოთამაშეების შეძენისთვის დიდი თანხების გაღებასაც არ ერიდება. „რეინჯერსის" შემადგენლობა კი მართლაც ძლიერია. კარს საკმაოდ საიმედო მოთამაშეები სდარაჯობენ: ედ ჯაკომინი და ჟილ ვილმუი. დაცვის მოთამაშენი, გუნდის კაპიტანი ბრედ პარკი, მისი ამხანაგები დეილ როლფი, როდ სილინგი, 19 წლის რონ გრეშნერი, „პიტსბურგ პინგუინზისგან" ნაყიდი ნიკ ბევერლი და სხვანი შეეცდებიან მთლიანად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. თავდასხმაში ნიუიორკელებს ძალიან შედეგიანი პირველი სამეული ჰყავთ: სტივ ვიკერსი, ჟან რატელი და როდ ჟილბერი, თუმცა ესპოზიტოს მოსვლასთან ერთად აქ ცვლილებაც მოსალოდნელია. მათ მხარში უდგანან რიკ მიდლტონი, „ბოსტონ ბრუინზისგან" ნაყიდი დერეკ სანდერსონი, უოლტ ტკაჩუკი, პიტ სტემკოვსკი, რონ ჰარისი, რობერტ რუსო და სხვანი.

ასე რომ, საბჭოთა ტელემაყურებლებს უაღრესად საინტერესო სანახაობა მოელით. ამ მატჩის ტელერეპორტაჟი ცენტრალური ტელევიზიით გადმოიცემა 29 დეკემბერს 20 საათზე თბილისის დროით.

ახლა გაგაცნობთ ტურნეს კალენდარს:

29 დეკემბერი. „პიტსბურგ პინგუინზი" — „კრილია სოვეტოვი" (ტელერეპორტაჟი — 30 დეკემბერს 22 საათსა და 30 წუთზე);

31 დეკემბერი. „მონრეალ კანადიენზი" — ცსკა (ტელერეპორტაჟი — 1976 წლის 1 იანვარს 13 საათზე);

4 იანვარი. „ბუფალო სეიბრსი"— „კრილია სოვეტოვი" (ტელერეპორტაჟი — 4 იანვარს 22 საათსა და 30 წუთზე);

დანარჩენი მატჩების ტელერეპორტაჟების დრო მოგვიანებით დადგინდება.

7 იანვარი. „ჩიკაგო ბლეკ ჰოქსი" — „კრილია სოვეტოვი";

8 იანვარი. „ბოსტონ ბრუინზი"— ცსკა;

10 იანვარი. „ნიუ იორკ აილენდერსი" — „კრილია სოვეტოვი";

11 იანვარი. „ფილადელფია ფლაიერსი" — ცსკა.

„ლელოს" მიმომხილველი.

• • •

სურათზე: „ნიუ იორკ რეინჯერსს" (თეთრ მაისურებში) მორიგი შაიბა გააქვს მეტოქის კარში. მარცხნივ — პიტ სტემკოვსკი.

პირველად ეთიოპიაში

ადის-აბება, 25 დეკემბერი. (საქდესის კორ.). ეთიოპიის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივი სპორტის მოყვარულები ინტერესით ადევნებდნენ თვალს საბჭოთა მძლეოსნების გამოსვლებს. საბჭოთა მორბენალთა, მხტომელთა და მტყორცნელთა ჯგუფი პირველად ჩამოვიდა ამ ქვეყანაში, რათა ერთობლივი წვრთნა ჩაატაროს ეთიოპიის სპორტსმენებთან და ამხანაგური შეჯიბრებები გამართოს მათთან.

მართალია, შეჩვეული არ არიან სიმაღლეზე ხტომას... ბალახის გაზონიდან, მაგრამ მოსკოველმა ვალენტინ გავრილოვმა და ვალერი კოზლოვმა თავი არ შეირცხვინეს. კოზლოვმა 215 სმ სიმაღლე გადალახა, მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა გავრილოვმა — 210.

სპრინტერთა გარბენებში პირველობდნენ ბორის იზმესტიევი და ალექსეი ლებედევი. ახალგაზრდა მოსკოველი იური კორსი 800-მეტრიან დისტანციაზე მეორე იყო ეთიოპიელი ატრაბ ბაზაბის (1.52.8) შემდეგ. ვლადიმერ ბერეჟნოიმ მოიგო ბირთვის მკვრელთა შეჯიბრება.

საბჭოთა სპორტსმენები მიიღო ეთიოპიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა, მაიორმა ვეტახუ ტაკლამარემ. იგი მიესალმა სსრ კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს და გამოთქვა რწმენა, რომ მათი ვიზიტი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის კავშირის განმტკიცებას სპორტის სფეროში.

ვის მეტი ტიტული აქვს?

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბევრი უმაღლესი კლასის მოცურავე აღიზარდა, მაგრამ ვისა აქვს ჩემპიონის ტიტულების ყველაზე მდიდარი კოლექცია? ამ კითხვაზე ჟურნალი „შვიმშპორტი" ამომწურავ პასუხს იძლევა.

ვაჟთა შორის უდავო ლიდერია რ. მათესი. დაწყებული 1968 წლიდან, როცა პირველად გახდა გდრ-ის ჩემპიონი, მათესმა 23 ოქროს მედალი მოიპოვა. ფ. ვიგანდმა 1960-1966 წლებში 20-ჯერ მოიპოვა ჩემპიონობა. შემდეგ მოდიან: ე. ჰემინგერი — 15 (1960-1970), რ. პიტელი — 15 (1972 წლიდან), ჰ. გრეგორი — 14 (1956-1968), ჰ.-ი. რაიჰე — 11 (1952-1956).

ქალთა შორის ადგილები ასე ნაწილდება: ჰ. ლინდნერი — 12 (1965-1971), ი. ლანგენაუ — 11 (1954-1959), კ. ენდერი —10 (1971 წლიდან), გ. ვეცკო — 9 (1968-1972), ა. შნაიდერი — 8 (1952-1958), მ. გრუნერტი — 8 (1965-1970).

ფინა-ს ანკეტა

ცურვის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკურმა კომიტეტმა შეაჯამა მხატვრულ სინქრონულ ცურვასა და წყალში ხტომაში გასული სეზონის შედეგები და გამოაცხადა საუკეთესო ექვსეულები. ადგილები ასე განაწილდა:

მხატვრული სინქრონული ცურვა. გ. ჯონსონი (აშშ), ი. უნეძაკი (იაპონია), ს. ფორტი (კანადა), მ. ჰოლანი (დიდი ბრიტანეთი), ჯ. ბურიჯი (ავსტრალია), ჯ. გურენი (აშშ).

ტრამპლინიდან ხტომა. ქალები. ი. კალინინა, ტ. ვოლინკინა (ორივე — სსრ კავშირი), კ. ლოუკი (აშშ), უ. კნაპე (შვეცია), კ. კიოლერი, ჰ. ბეკერი (ორივე — გდრ). ვაჟები. ფ. ბოგო (აშშ), კ. დიბიასი (იტალია), ვ. სტრახოვი (სსრ კავშირი), ჯ. კანიოტო (იტალია), ჯ. მოორი (აშშ), ჰ. ჰოფმანი (გდრ).

კოშკიდან ხტომა. ქალები. კალინინა, ჯ. ელი (აშშ), კნაპე, ს. უერკი (კანადა), გ. ვაიცეხოვსკაია (სსრ კავშირი), მ. დუჰკოვა (ჩეხოსლოვაკია). ვაჟები. დიბიასი, კ. კირონი (მექსიკა), ნ. მიხაილოვი (სსრ კავშირი), გ. ფოსლერი (აშშ), ჰოფმანი, მოორი.

შრომისმოყვარე ფელდფებელი

ფინელ ჟურნალისტთა ასოციაციამ ბიატლონისტი ჰეიკი იკოლა 1975 წლის შედეგების მიხედვით ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა.

ფინეთის არმიის ფელდფებელს, ესტაფეტასა და 20 კილომეტრზე რბოლაში მსოფლიო ჩემპიონს, 28 წლის იკოლას ფინელი გულშემატკივრები დიდ იმედებს უკავშირებენ და ვარაუდობენ, რომ მისი წყალობით სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიურ ოქროს მედალს მიიღებენ. ნაკრების მწვრთნელების ეინო ნერვეს და პეკა ტაივონენის აზრით, სპორტსმენის წარმატებები პირველ ყოვლისა მისი შრომისმოყვარეობის შედეგია, იგი არ სჯერდება ზამთრობით სროლაში და თხილამურებით სრიალში თავის მიერვე გათვალისწინებული ნორმების შესრულებას. „მე მივეჩვიე ამგვარ ვარჯიშს ზაფხულობითაც. ამასთან, წვრთნის დროს ვცდილობ ისევე მოვიქცე, როგორც შეჯიბრებისას. აუცილებლად მიმაქვს თან შაშხანა და ვისვრი ყველა ცეცხლის ზღუდეზე, — ამბობს იკოლა. — ამის შედეგად მივეჩვიე ახპარეზობის დროს მშვიდად ყოფნას და, თუმცა „ნამდვილი" შეჯიბრება უწინდებურად მაღელვებს, სარბიელზე ხელი არ მიკანკალებს."

(საქდესი).

„ყურადღება! დაეინყეთ!“

ლენინგრადი. გაისმის მწვრთნელის განკარგულება. ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სპორტსკოლის ასი მოსწავლე მეცადინეობას იწყებს. ბავშვებს ამეცადინებენ მწვრთნელები, აკრობატები, ქორეოგრაფები. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები. გოგონებისთვის — თოჯინები, ბიჭებისთვის — ბურატინო.

საქდესის ფოტო.

სპორტის ენციკლოპედია

ზაგრებში გამოვიდა „ფიზიკური კულტურის ენციკლოპედიის" პირველი ტომი. მასში დაწვრილებითაა მოთხრობილი სპორტის ყველა სახეობაზე, მსოფლიოს გამოჩენილ სპორტსმენებზე, ლაპარაკია მსოფლიოს, ევროპისა და სხვა რეკორდებზე, მოყვანილია ცნობები მედიცინისა და ბიოლოგიის დარგებიდან.

ენციკლოპედიის შედგენაში ორასზე მეტმა ავტორმა მიიღო მონაწილეობა. სპორტის სფეროში ასეთი საფუძვლიანი ნაშრომი იუგოსლავიაში პირველად გამოვიდა. (საქდესი).

რედაქტორი მ. ქააბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, კადრების — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 14 809